N112

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ერთობლივი ხელშეკრულება N 4.9/10/23

ქ. თბილისი 2015 წელი 23 თებერვალი

გამარტივებული შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 თებერვლის №266 განკარგულების საფუძველზე

ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში- სამინისტრო), მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას №12, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის **დიმიტრი ქუმსიშვილის** სახით, მეორეს მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში- მერია), მისამართი: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას №7, წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი), **ალექსანდრე მარგიშვილის** სახით (ორივე ერთად შემდგომში - „შემსყიდველი"), და მესამე მხრივ, შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №37-39, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი კილაურიძის სახით, და ყველა ერთად წოდებული "მხარეებად", ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 თებერვლის N266 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 **ხელშეკრულების საგანია:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ „ექსპორტის წახალისების ღონისძიებების" (24010102) ასიგნებათა ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, სს „საპარტნიორო ფონდმა" სს „საპარტნიორო ფონდის" წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის #230 დადგენილებით დამტკიცებული წესდების პირველი მუხლის მე-7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საფრანგეთში, ქ. კანში, 2015 წლის 10-13 მარტს უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაში - „MIPIM 2015" მონაწილეობის მიზნით მომსახურების შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად.

1.2. **კლასიფიკატორის (CPV) კოდი:**

1.2.1. **79956000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ევროში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება (შემდგომში ხელშეკრულების საერთო ღირებულება) შეადგენს **30 900 (ოცდაათიათას ცხრაასი) ევროს** (საქართველოს კანონმდებლობის შესამისად, გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით). აღნიშნული თანხა გადანაწილდება სამინისტროს, მერიასა და სს „საპარტნიორო ფონდს" შორის წინამდებარე ხელშეკრულების მე–7 მუხლის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. სამინისტროს და მერიის უფლებამოსილ წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის შესაძლებელია მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების დასრულების ვადაა 2015 წლის 30 მარტი და იგი სრულდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის (რეპორტის) წარდგენით.

23.07. 2015
7

4.2. მიმწოდებელი არაუგვიანეს 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე წარუდგენს შემსყიდველს გაწეული მომსახურების სრულ ანგარიშს (რეპორტს) წერილობითი ფორმით (რეპორტი შესრულებული იქნება ინგლისურ ან ქართულ ენაზე) 2 (ორი) ეგზემპლარად - 1 ეგზემპლარი მერიისთვის, 1 - ეკონომიკის სამინისტროსთვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება სამინისტროსა და მერიის მიერ მიღებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ ჩაბარებულად ჩაითვლება მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შედეგად, რომელიც შედგება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ.

5.2. სამინისტროს მხრიდან მომსახურების მიღებას განახორციელებს ინვესტიციებისა და ექსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ცეცხლაძე.

5.2. მერიის მხრიდან მომსახურების მიღებას განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი ბერეკაშვილი.

5.4. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება 5 ეგზემპლარად, რომლიდანაც ორ-ორი ეგზემპლარი გადაეცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს (შპს ,,კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია").

5.5. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ მიმწოდებელი მხარეებს შესაბამის თანხაზე წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

6. მომსახურების გარანტია

6.1. მიმწოდებელი გამოიყენებს სრულ ძალისხმევას მომსახურების ჯეროვნად განსახორციელებლად.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს განხორციელებულ მომსახურებაში დასაბუთებული ნაკლის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ოდენობა

7.1 მხარეთა მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი მომსახურების ღირებულება შეადგენს 30 900 (ოცდაათიათას ცხრაასი) ევროს და აღნიშნული ვალდებულება სამინისტროს, მერიასა და სს ,,საპარტნიორო ფონდს" შორის განაწილდება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 თებერვლის №266 განკარგულების შესაბამისად.

7.2. სამინისტროს მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენს 10 300 (ათიათას სამასი) ევროს.

7.3. მერიის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენს 10 300 (ათიათას სამასი) ევროს.

7.4. მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხის ღირებულების მესამედი 10 300 (ათიათას სამასი) ევროს ოდენობით განისაზღვროს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 თებერვლის №266 განკარგულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

7.5. სახელშეკრულებო ღირებულების 100%–ის ანაზღაურება განხორციელდება წინასწარ, ავანსის სახით არაუგვიანეს 2015 წლის 27 თებერვლისა.

7.5.1 ანგარიშსწორება უნდა მოხდეს, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ქართულ ლარში, გადარიცხვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

7.6. მიმწოდებელი უფლებამოსილია დააყოვნოს მომსახურების განხორციელება, თუ შემსყიდველი გადააცილებს 7.5. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გადახდას. 7.5. პუნქტით გათვალისწინებული ვადის 10 (ათი) კალენდარული დღით გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

23.02.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების ჯეროვანი და დროული განხორციელება;

9.2.2. მომსახურების მიმდინარეობის შესახებ მოითხოვოს წერილობითი ინფორმაცია;

9.3. შემსყიდველი ვალდებულია:

9.3.1. მიაწოდოს მიმწოდებელს სრული და უტყუარი ინფორმაცია, დოკუმენტი ან/და საბუთი, რასაც მიმწოდებელი საჭიროდ მიიჩნევს მომსახურების განხორციელებისათვის.

9.3.2. თავისი მოქმედებით ან/და უმოქმედობით არ შეუშალოს ხელი მიმწოდებელს მომსახურების განხორციელებაში.

9.3.3. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური და სხვა ვალდებულებები ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

9.4 . მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და დროული შესრულება.

9.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურებასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის, დოკუმენტის ან/და საბუთის მიწოდება, რომელიც აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად განხორციელებისათვის ან/და შეუძლია გავლენა მოახდინოს მომსახურების სრულყოფილ განხორციელებაზე.

9.4.3. დამოუკიდებლად განსაზღვროს მომსახურებისათვის გათვალისწინებული სამუშაო პირობები.

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოს სრულყოფილად, ჯეროვნად, ხელშეკრულებით წინასწარ დადგენილ ვადებში, მოქმედი კანონმდებლობის ან/და ნორმების სრული დაცვით.

9.5.2. შემსყიდველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას პერიოდული ანგარიში მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში შესრულებული სამუშაოების მიმდინარეობის, სამუშაო პროცესის ან/და პროცედურების შესახებ.

9.5.3. არაუგვიანეს 2015 წლის 10 მარტამდე წარუდგინოს შემსყიდველს დანართის ა.ა. ქვეპუნქტის საფუძველზე დაგეგმილი შეხვედრების სრული სია. ამასთან, მიმწოდებელი მოქმედებს რა საქართველოს კანომდებლობის, პროფესიული ეთიკის და კეთილსინდისიერების საფუძველზე, გამოიყენებს თავის ტექნიკურ, ინტელექტუალურ და პროფესიულ რესურსს და მიმართავს ყველა შესაძლებლობას დანართის ა.ა. ქვეპუნქტით განსაზღვრული შეხვედრების ორგანიზებისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შემსყიდველი არ არის უფლებამოსილი წარუდგინოს მიმწოდებელს პრეტენზია შეხვედრების რაოდენობასთან მიმართებაში. გარდა ამისა, მხარეები აცნობიერებენ, რომ დანართის ა.ა. (1) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეხვედრის ორგანიზება დამოკიდებულია სუბიექტურ გარემოებებზე (საქართველოში

23.02.15

პროექტების დაფინანსების ან განვითარების მესამე პირთა ნებაზე), შესაბამისად, ასეთი შეხვედრის ორგანიზების შეუძლებლობა ვერ გახდება მომსახურების ნაკლზე მითითების საფუძველი.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

10.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.3. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

10.4. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

10.6. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.8. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ასევე შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში, ხელშეკრულების 6.3 პუნქტის გათვალისწინებით.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.9. ამ მუხლის 10.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10.10. მიმწოდებელს შეუძლია მიიღოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ასევე შემდეგ შემთხვევებში:

ა) შემსყიდველის მიერ მომსახურების ღირებულების ვადის გადახდის 10 (ათი) კალენდარული დღით გადაცილების შემთხვევაში

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი განზრახ უშლის ხელს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან შესრულებაში.

11. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი და საომარი მოქმედებები, კარანტინი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ

23.02.5

შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით. საკანონმდებლო ცვლილებები, მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული ან ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც აუარესებენ მხარის ან მხარეთა მდგომარეობას, შეუძლებელს ხდიან წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, განიხილება, როგორც ფორს-მაჟორული გარემოებები.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, გონივრულ ვადაში აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

11.4. თუ მხარეები არ გამოიყენებენ 11.3. პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადების დინება შეჩერდება ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პერიოდში და გაგრძელდება ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ. ამ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ვადები არ იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პერიოდზე ნაკლები.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მიწოდების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით, "ფორს-მაჟორული" სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე ხელშეკრულების მარჯვენა ზედა კუთხეში მითითებული თარიღის 24:00 სთ-დან და ძალაშია 2015 წლის 1 მაისის ჩათვლით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან ჩაბარდება ხელზე მისი მიღების შესაბამისი დადასტურებით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადავო საკითხები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

23.02.2015

16.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის/პუნქტის ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

16.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.5. ხელშეკრულება შედგენილია 6 (ექვსი) ეგზემპლარად ქართულად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (2 ეგზემპლარი მიმწოდებელთან, 2 ეგზემპლარი სამინისტროსთან, 2 ეგზემპლარი მერიასთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

სამინისტრო	მერია	მიმწოდებელი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საიდ. კოდი: 203840433 მის: ქ.თბილისი, ჭანტურიას ქ№12 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22 ა/ა: 200122900	ქ .თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7 სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 საიდ. კოდი: 204521794 აა: GE95LB0125152101627000	შპს "კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია" ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №37-39, სს "თი ბი სი ბანკი", TBCBGE22 ანგარიშსწორების ანგარიში № GE37TB7158036050100001 საიდ. კოდი: 405029810
დიმიტრი ბუმსიშვილი მინისტრის პირველი მოადგილე	ალექსანდრე მარგიშვილი მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)	ირაკლი კილაურიძე დირექტორი

23.02.2025

დანართი 1

ა) მომსახურების პირველი ეტაპი:

ა.ა.) შემსყიდველებისათვის შეხვედრების ორგანიზება (მათი ინიცირება და დაგეგმვა) MIPIM 2015 წლის ფარგლებში 2015 წლის 10- 13 მარტის ჩათვლით ქვემოთ მითითებულ შემდეგ პირებთან. ამასთან, შეხვედრების ინიცირება და დაგეგვმა არ მოიცავს შეხვედრების მატერიალურ მხარდაჭერას.

1) ინვესტორებთან და დეველოპერებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კონკრეტული პროექტების დაფინანსებით და განვითარებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2) მედიის წარმომადგენლებთან (უძრავი ქონების სფეროში მომუშავე მსოფლიოში წამყვანი მედიის წარმომადგენლებთან);
3) კორპორატიული ბიზნესის წარმომადგენლებთან;
4) MIPIM-ის ფარგლებში დაგეგმილ მნიშვნელოვან სემინარებზე და პრეზენტაციებზე დასწრების და მათში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა;

ა.ბ.) საქართველოსა და თბილისის შესახებ პრეზენტაციების და გზამკვლევის მომზადებაში ტექნიკური დახმარების გაწევა.

1) MIPIM-ზე წარსადგენი პროექტების მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება;
2) Colliers International -ის ორი მაღალი რანგის წარმომადგენლის დასწრება ქვეყნის (საქართველოს შესახებ) პრეზენტაციაზე;

ა.გ.) MIPIM-მდე საქართველოსა და თბილისის წარდგენის შესახებ მოკლე მიმოხილვა, შეხვედრებისა და მთავარი გზავნილების (key messages) მომზადება კონკრეტული აუდიტორიისთვის, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული მხარეებს შორის;

ბ) მომსახურების მეორე ეტაპი:

ბ.ა.) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სს „საპარტნიორო ფონდის" წარმომადგენლების უზრუნველყოფა MIPIM-ის საგამოფენო დარბაზში შესასვლელი ბილეთებით (არაუმეტეს 7 ბილეთისა);

ბ.ბ.) დანართის ა.ა. ქვეპუნქტით დაგეგმილ შეხვედრების ნაწილზე (მიმწოდებლის შერჩევით) მიმწოდებლის მაღალი რანგის წარმომადგენლის დასწრება.

23.02.2015

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№266 2015 წლის 13 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებისა და საფრანგეთში, ქ. კანში, 2015 წლის 10-13 მარტს უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაში - „MIPIM 2015" მონაწილეობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ,

მდგრადი განვითარების სამინისტრო
შემოსვლის № 3464/05
18.02. 2015 წ.
ფურცელი

04/993

1

საკუთარი სახსრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - არქიტექტურის სამსახურმა, საკუთარი სახსრებით, საკუთარი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, გამოფენაზე მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილებით დამტკიცებული წესდების პირველი მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სს „საპარტნიორო ფონდმა“ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის ღირებულების ნაწილის, კერძოდ 10 300 (ათი ათას სამასი) ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა მომსახურების მიმწოდებლ(ებ)ისათვის, საკუთარი სახსრებიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**